266

ხელშეკრულება № 252/10

ქ. თბილისი „22" „დეკემბერი" 2010 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები.

შპს „ენგურჰესი", იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ჭავჭავაძის 50, ფაქტ. მდებარეობა გალის რ-ნი დას. საბერიოში, (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი *დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და

შპს "სპეცენერგორემონტი" ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 34, კ. 4. საფოსტო მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. №39 შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული, მისი *აღმასრულებელი დირექტორის შოთა ლეჟავას* სახით, მეორეს მხრივ რომელიც მოქმედებს ასევე საწარმოს წესდების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1 ნაჩვენები დასახელებისა და ოდენობის ტურბინის სათადარიგო ნაწილები.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. საერთო სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 181 100,50 (ასოთხმოცდაერთი ათას ას ლარსა და ორმოცდაათ თეთრს) ლარს დღგ-ს ჩათვლით

3.2. ანგარიშსწორება მოწოდებულ საქონელზე მოხდება უნაღდოდ;

3.3. შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ავანსის სახით სახელშეკრულებო თანხის 80 %, ამავე იდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი - შპს „ენგურჰესის" მიწისქვეშა საამქროს უფროსის მოადგილე – ს. ჭანტურია

4.2. კოორდინატორის მიერ განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა საქონლის საბოლოო მოწოდების ადგილზე: შპს

„ენგურჰესზე" დას. საბერიოში ოდენობისა და მოწოდებული საქონლის ხარისხის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხობრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრა ან წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით. ან/და დაიბრუნოს უკან და აუნაზღაუროს შემსყიდველს გადახდილი თანხა

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონელის ახლით შეცვლის შემთხვევაში აანაზღაუროს ტრანსპორტირების ხარჯები;

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი შეფუთოს ისეთი წესით, რომ შეფუთვა გამორიცხავდეს საქონლის დაზიანებას მოწოდების დატვირთვა-გადმოტვირთვისას და ტრანსპორტირების პერიოდში.

5.5 შემსყიდველი ვალდებულია 3 დღის ვადაში შეატყობინოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ და მიმწოდებლის მიერ მისი აღიარების შემთხვევაში

5.8 შემსყიდველი უფლებამოსილია დააბრუნოს უხარისხო საქონელი და აანაზღაუროს საქონლის ღირებულება;

5.9 შემსყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დროულად აანაზღაუროს საქონლის ღირებულება;

6. საქონლის მიწოდების პირობები.

6.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ გალის რ-ნი დას. საბერიო, შპს „ენგურჰესის" ცენტრალური საწყობში.

6.2. მომწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების შესაბამისად დროულად მიაწოდოს შემსყიდველს შესასყიდი საქონელი, შესაბამისი დოკუმენტაციით და მოთხოვნის შესაბამისი ხარისხით.

7. ვალდებულებების შესრულების ვადები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო ქმედებას "მიმწოდებელი" იწყებს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

7.2 საქონლის მოწოდების ხანგრძლივობა განისაზღვრება 190 დღით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან.

7.3 "მიმწოდებელს" უფლება აქვს თავისი ვალდებულებები შეასრულოს ვადამდე.

8 მხარეთა პასუხისმგებლობები

8.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

8.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს საქონლის მოწოდების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემსყიდველის" წინაშე მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

8.4 გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასები გადასინჯვა.

9.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

9.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

9.3. ფასთა ცვლილება განიხილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. ფორს - მაჟორი

10.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური , საომარი მოქმედებებით, ხანძრით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და უშუალოდ გავლენა იქონია მის შესრულებაზე;

10.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად;

10.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს;

10.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს სავაჭრო პალატის მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 15 ივლისამდე.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეები წამოჭრილ სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით წერილობითი შეტყობინებების და შესაბამისი წესით გაფორმებული დოკუმენტების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, სადაო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

13. მხარეთა რეკვიზიტები.

"შემსყიდველი"

შპს "ენგურჰესი"

სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის
განყოფილების ზუგდიდის ფილიალი
ბანკის კოდი 220101929
ა/ა 301467126
საიდ. კოდი 251716371
გალის რაიონი, დ. საბერიო

"მიმწოდებელი"

შპს „სპეცენერგორემონტი"

სს „ბანკი რესპუბლიკას"
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი 220101757
ა/ა GE38 BR00 0000 3603103632
საინ. კოდი 202198317
ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 34, კ. 4.
საფოსტო მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. №39

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მებონია

აღმასრულებელი დირექტორი

შ. ლეჟავა

ვიზები:
ტექ. დირექტორი:
იური. სამსახური:
შესყ. სამსახური:
ფინ. სამსახური:
სტგ:
ბუღალტერია:
შიდა აუდიტი:

ტურბინის სათადარიგო ნაწილების

ნ უ ს ხ ა

№	დასახელება	ნახაზის ნომერი/სტანდარტი	რაოდენობა ცალებში
1	სამაჯური 3-250X210-2a	ГОСТ 14899-84	50
2	სამაჯური 3-280X240-2a	ГОСТ 14896-84	50
3	მიმმართველი აპარატის ნიჩბის საკისარი	3 –ГТ 64496 Ф	2
4	მილისა	4-ГТ 64499	50
5	მილისა	5-ГТ 61443	25

"შემსყიდველი"

შპს "ენგურჰესი"

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №50
ფაქტიური მდებარეობა:
გალ[illegible]ნი, დ. საბერიო

ლ. მებონია

"მიმწოდებელი"

შპს "სპეცენერგორემონტი"

ქ. თბილისი, აგლაძის ქ. №34კ.4
საფოსტო მისამართი:
ჭავჭავაძის გამზ. №39

შ. ლეჟავა